სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 ოქტომბერი, 2023 წ

ბრძანება N 01-02/190

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2023 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-07/23 ურთიერთანამშრომლობის შეთანხმებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 09 ოქტომბრის №1332687 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ბსუ-ს შორის 2023 წლის 20 თებერვალს გაფორმებული №04-07/23 ურთიერთანამშრომლობისა და ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამისა და ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში (ვიტაუტას მაგნუს (ლიტვა), მიკოლას რემერის (ლიტვა), რუსის (ბულგარეთი), კორდობას (ესპანეთი), ბიალისტოკის (პოლონეთი), პოვისლანსკი (პოლონეთი), ვროცლავის (პოლონეთი), ონდოკუზ მაის (თურქეთი), დაუგავპილის (ლატვია), გოჩე დელჩევის (მაკეონია) და ბორდო მონტენის (საფრანგეთი) უნივერსიტეტებში) საერთაშორისო მობილობის მონაწილე აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების გამოსავლენად გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:

1.1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) მიღება - 2023 წლის 13 ოქტომბრიდან - 08 ნოემბრის ჩათვლით 15:00 საათამდე:

ა) აკადემიური პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

ბ) მოწვეული მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ელექტრონულ ფოსტაზე info@bsu.edu.ge;

გ) "ერაზმუს+" კონკურსანტ სტუდენტების მიერ - ელექტრონულად, ბმულზე - https://registration.bsu.ge და ბსუ-ს პორტალის მეშვეობით;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კონკურსანტ სტუდენტის მიერ - ელექტრონულად, ბმულზე - ird@bsu.edu.ge და სტუდენტური პორტალის მეშვეობით.

1.2 საბუთების შემოწმება და შეფასება - 2023 წლის 09 ნოემბერი (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაში (ინგლისური B1/B2, გერმანული, ფრანგული) - 2023 წლის 10 ნოემბერი, 10:00 საათი (ბსუ-ს საგამოცდო ცენტრი, №4 კორპუსი, მის: ქ. ბათუმი ფიროსმანის ქ. №12 (შესაბამისი უცხოური ენის B1/B2 ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, კონკურსანტი თავისუფლდება ტესტირებიდან);

1.4. გასაუბრება კომისიასთან სტუდენტებისათვის - 2023 წლის 13 ნოემბერი, 14:00 საათი;

1.5. გასაუბრება კომისიასთან აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის - 2023 წლის 14 ნოემბერი, 14:00 საათი;

1.6. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტებისათვის 2023 წლის 15 ნოემბერი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის არაუგვიანეს 2023 წლის 30 ნოემბერი.

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის** შემადგენლობა:

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი;

ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში.

3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

6. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს,

სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში